№ 120 12 ივნისი, შაბათი. 1866 – 1882 12 ივნისი, შაბათი. № 102

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, ეზოდამ ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | |
|---|---|---|
| მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივი ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფასოთ ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

პირველის ივნისიდამ წლის დასრულებამდინ ღირს ექვსი მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილო-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

მოსკოვი, 10 ივნისს. წუხელი ღამის პირველ საათზე გარდაიცვალა მიტროპოლიტი მაკარი.

**პეტერბურღის ბირჟა, 10 ივნისს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94—50 |
| მეორესი — — — — | 90—50 |
| მესამესი — — — — | 90—62½ |
| მეოთხესი — — — | 90—62 |
| მეხუთესი — — — | 90—12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89—25 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89—12½ |
| აღმოსავლეთის მესამე | 89—25 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—17½ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 216—75 |
| მეორე სესხის — — | 210— „ |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—13 | პენსი |
| ჰამბურღი — | 206—75 | ცენტი |
| პარიჟი — — | 254—12 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## ქუთათური ამბები

თავად-აზნაურობის კრება.

29 მაისს—3 ივნისს.

წლევანდელი [illegible]ა თავად-აზნაურთა თავიდამ გ[illegible]დე, ყოველი[illegible] საქმის წარმო[illegible] და მისს შედეგებ[illegible] იყო უჩვეულებრ[illegible]. . . . . .

. . . . . . . . . . . . . . .

Არჩევანის საქმით მსვლელობის აღწერას იხილავთ ბოლოს და ეხლა კი საგულისხმოდ წაიკითხეთ შემდეგი საგნები, რომელთ მონიჭების თხოვნა მმართებლობის წინაშე დაადგინა კრებამ. . . . . . . მიიღეთ მხედველობაში ისიც, რომ პირველი საგნის გარდა, . . . . . . . ფეხს იდგამდენ ისე ცდილობდენ ყველაფრის დანარჩენის განრინებასა და ჩაილულის წყალში ჩაგდებას...

ა) შემოღებულ იქმნესო ყოველგვარ სასწავლებლების მოსამზადებელსა და პირველს ოთხს კლასში ქართულად სწავლება საგნებისა და ქართული ენის კათედრის დაარსება გიმნაზიურს კლასსებში (135 თეთრი 3 შავი).

ბ) შემოღებულ იქმნასო აღმორჩევითი მომრიგებელისა მსაჯულები და დაწესდეს ნაფიცნი მსაჯულებიო (70 თეთრი და 68 შავი) საქმეთა ქართულად წარმოებითო.

გ) შემოღებულ იქმნასო თემობა „სათემო დებ.“ შეცვლითო ჩვენი ქვეყნის პირობების-და-გვარად (68 შავი და 70 თეთრი*).

დ) დაწესდეს კავკასიის მთავარ-სამმართველოს რჩევა, რომელშიაც მმართებლობისაგან დანიშნულ თითოეულ სამინისტროს წარმომადგენლის გარდა უნდა იყვნენ ხალხისაგან არჩეულნი პირნიც, რასაკვირველია მმართებლობისვე დამტკიცებით. ამ რჩევას უნდა ჰქონდეს უფლება ყველა ადგილობრივს ხელმწიფებზე (Власть) და დაწესებულებაზედ, (თვინიერ მთავარ-მმართებლისა) ადგილობრივად კანონთ-დებულებისა და მათი წარდგენა უმაღლეს მთავრობისადმი შესაწყნარებლად (68 შავი და 70 თეთრი).

ე) შეცვლის იქმნეს ზოგიერთი სტატიები კანონთ კრების მეათე ტომისა და აღდგინება ჩვენის ცხოვრების მსვლელობისაგან საჭიროდ დასახულნი ვახტანგ-მეფე-სჯულ-მდებნის კანონები. (უფრო ვრცლად ეს წინადადება განმარტებულია რაჭის მაზრის წინადადებაში)(68 შავი, 70 თეთრი**). ერთად, ერთ ყუთში უყარეს კენჭი

*) ბ და გ საგანს ერთად, ერთს ყუთში უყარეს კენჭი.

**) დ და ე საგანს ერთად, ერთს ყუთშივე უყარეს კენჭი.

და ამოუვიდა 112 თეთრი და 25 შავი შემდეგ საგნებს.

ვ) ჩვენს ცხოვრებაზედ მოუთავსებელ ნოტარიულ კანონების შეცვლას; ზ) მიწის გამიჯვნის დაჩქარება და „სამიჯნაო წესდ. შეცვლას“ ჩვენი ქვეყნის პირობების და გვარ; და ც) ჩვენი კლასსიკური სასწავლებს ნახევარ-კლასსიკურად გადაკეთებას; თ) მომრიგებელ მსაჯულთ დანიშნვისა და გამოცვლის და მაზრის სამსაჯულოზედ დამოკიდებულების, უფლებისა და ვალდებულების წესის შეცვლას; ი) სოფლად მცირე საქმეთათვის საყოველთაო სამსაჯულოების დაწესებას და კ) უმაღლესის აგრონომიულის სასწავლო დაარსებას ჩვენში.

ამ მეთორმეტე საგნის გარდაწყვეტილება დამოკიდებული იყო თვით თავად-აზნაურთა კრებისაგან და გარდაწყვეტა და მიიღო კიდეც 96 ხმის უმრავლესობით წინაალმდეგ 41-სა: სააზნაურო სკოლა უნდა გადაკეთდეს ქართული გიმნაზიად, რომელსაც შემწეობას აღმოუჩენს სააზნაურო ბანკი და მთავარი ზარალი ანუ უკეთა ვსთქვათ ძირითადი კაპიტალი, რომლითაც უნდა შეინახოს ეს გიმნაზია უნდა გამოიღოს თავად-აზნაურობამ რამდენიმე წლის განმავალობაში.

ამ ქველი ხარჯის გასაწერად უნდა დაინიშნოს საგუბერნიო კომისია, ყოველ მაზრის თავად-აზნაურთა კრები-

«დროების» ფელეტონი, 12 ივნისი.

## ეპიზოდი ჯალათის ცხოვრებიდამ

(საიდუმლო ისტორია)

(დასასრული *)

პეტრეს ეჩვენებოდა და გრძნობდა, რომ იგინი მიდიოდნენ ქვა-ფენილ გზაზედ. ბოლოს მოესმა უცნობი კაცის ხმა, რომელიც ეუბნებოდა მას: ნება მოგვეცით გაგაცილოთო და ამასთან ნაცნობმა კაცის ხმამ წასჩურჩულა: გახსოვდეს შენი პირობაო. პეტრე მიენდო ღმერთსა და გაჩუმებული მისდევდა მათ.

Ცოტა ხანს შემდეგ პეტრე გრძნობდა, რომ თითქო, უცნაურ და უშველებელ დიდს რაღაცა დარბაზში მიდიოდნენ, რადგანაც მათი ფეხის ხმა ისმოდა შორსა. პეტრეს ასხამდა ჭირის ოფლსა. ბოლოს დააყენეს ერთს ალაგს, საჩქაროდ აუხსნეს თვალები და დაინახა, რომ იდგა საშინელ დიდს ოთახში, რომლის ფანჯრები შავის ფარდებით იყო დაბურვილი და განათებული ხომლებით. Იმ ოთახის გარეშემო კრესლებში ისხდნენ ჩუმათ რამდენიმე კაცები, მსაჯულების ტანისამოსით. Თუმცა არ იყვნენ მასკის ქვეშ, მაგრამ პირის სახე მათი არ ირჩეოდა, რადგანაც მათ მხარეს შუქი სანთლებისა არა სცემდა და არ ხვდებოდა.

Პეტრე იდგა გაშტერებული და განცვიფრებული. რაოდენიმე წამის შემდეგ ერთს მხარეს გაიღო კარები, რომლიდგანაც გამოვიდა ერთი მშვენიერი ყმაწვილი ქალი, შავის პირბადით და იასამანის ფერის ხავერდის კაბით. Ეს ქალი ამაყად მოვიდა და დადგა შუა ალაგს.

Მაშინ წამოდგა ერთი იქ მჯდომარეთაგანი, რომელიც, როგორც სჩანდა, იყო თავსმჯდომარე, მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა:

— Შენ ამისთვის მოგიყვანეთ, რომ ასრულო მოვალეობა შენის სამსახურისა. Უნდა უთუოდ მოჰკვეთო თავი ამ ქალსა, რომელზედაც თუმცა სამოქალაქო კანონს არ აქვს უფლება, მაგრამ უნდა მოკვდეს, რადგანაც ჩაუდენია საშინელი და საზარელი დანაშაულობა.

— Უფალნო! მოახსენა პეტრემ. მე, მართალია, ჯალათი ვარ და ვკვეთავ თავებს იმ პირთა, რომლებზედაც მიბრძანებს მსაჯულობა და რომელნიც მაშინვე ითვლებიან მკვდართა შორის. მაგრამ თქვენ, უფალნო, თუმცა ძრიელნი ბრძანდებით, მაგრამ არ ხართ ჩემთვის მსაჯულები და ბძანება თქვენი არ არის მსაჯულობისა. მე ვარ ჯალათი და არა კაცის-მკვლელი.

— Შენ აღგვითქვი მორჩილობა და და მოგვეც პირობა!

— Აღთქმა ჩემი, მიუგო პეტრემ, პირველად იყო ძალდატანებითი და მეორედ ვერ წარმოვიდგენდი, რომ თქვენ მიწვევდით ამისთანა საქმის ასასრულებლად. Თქვენ ბძანდებით ნამდვილი მსაჯულები, მომეცით ბეჭედ დაკრული მსაჯულობის ბძანება; მაშინ მე უარს არა ვყოფ, აღვასრულებ და თუ არა, ერთს ბეწვსაც არ შევეხები ამ ქალისასა. Მიბრძანეთ რა უქნია ამ უბედურს და რისთვის დაგიდვით ამისთანა სასჯელი?

— Ზნებავს შეიტყო ამ ქალის დანაშაულობა? Კარგი, გიამბობ, უთხრა თავსმჯდომმა. Ეჭვი არ არის რომ შეგზარავს ამ ქალის ცოდვა და დანაშაულობა. Მაშინ აღარ დაგნანდება, აღარ დაიზარებ ამის თავის მოკვეთასა. Ამან ჰქნა........

Ამ სიტყვებზედ ქალმა, რომელიც აქამდისინ იდგა ჩუმად, თრთოლით გაშალა ხელები და მაღლის ხმით უთხრა:

— Კმარა! Თქვენ გნებავსთ ჩემი სიკვდილი? მომკალით, რადგანაც გაქვსთ უფლება და ძალა. Მაგრამ არ შეგიძლიათ და არც გაქვსთ ნება უამბოთ ამ კაცსა, ანუ ამისს მსგავსსა ყოველი, რაც თქვენ ისმინეთ და იცით ჩემის საქმისა!...

Ამ სიტყვების თქმაზედ ოთახში ჩამოვარდა საშინელი სიჩუმე და დაჰკრა საათმა თერთმეტი.

— Დაჰკრა საათმა სთქვა თავმჯდომარემ და მიაწოდეს პეტრეს მახვილი, რომელსაც ხმარობდნენ იმ დროს შვეიცარიაში კაცის თავის მოსაკვეთად.

— Არა; მიუგო პეტრემ, არ მივიღებ ამ მახვილს!—Ზნებავსთ თქვენი განაჩენი თქვენვე აღასრულეთ ამ ქალზედ.

— Ზაგვიგონე, თუ გვბრალება შენი თავი!

*) იხ. „დროება“ № 119.

საგან თანაბარ წევრთა რიცხვით შემდგარი, რომელმაც უნდა შეითანხმოს ამ საქმეში სამეგრელოს თავად-აზნაურობა, დაჰყოს ეს წოდება კატეგორიებად და გასწეროს მასზე მის-მისი შეძლებისა-და-გვარი გადასახადი... ხანგრძლივი ბაასი ამ საგნების შესახებ არ ყოფილა კრებაში: ვინც თანახმა იყო მოხსენებულ ცვლილებათა შემოღებაზედ წინ-და-წინ დამზადებული გახლდნენ, და ვინც არა, იმათ კი ხმაც არ ამოუღიათ და ის ქნეს მხოლოდ, რომ მათი კენჭის ყრით გადაწყვეტა შემდეგი დღისთვის გადადვეს. . . . . . . . . . . . მათ მიმართეს მოურავმართეთა კერპის ავტორიტეტზე, რომელიც ყოველ გვარს ჭახრაკს ატრიალებდა ოღონდ კი მისთვის გაუგებარი რაღაც თემობის და ადრჩევითი მომრიგებელ მოსამართლეების დაწესება არ ეთხოვათ. მაგრამ ზემოხსენებულ კენჭის-ყრის შედეგიდამ მკითხველი დაინახავდა, რომ მოურავმართეთ კარგი ქანჩი მოუჭირებიათ მოურავმართეთა ჭახრაკისათვის, თორემ ისე ერთობ ძნელი იყო გატარება ამისთანა მძიმე და რთული საგნებისა, რომელთ სარგებლობის ახსნა უმეცარ მეკენჭეთა დასისათვის ადვილი საქმე კი არ არის, თქვენც დამეთანხმებით...

დიდი ცდა იყო აგრეთვე თ. ნესტ. წერეთლისაგან რომ ოზურგეთის მაზრის სათხოვარი უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ „მიექცესთ მართებლობის ყურადღება გურიის უწესო მდგომარეობას და ახსნილ იქმნან ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარი დიდრონი ბოროტ-მოქმედებანი“. მაგრამ გურულებმა არ დასთმეს ეს მათი არსობითი საჭიროების თხოვნა, . . . . . . . . . . . . და ეს წინადადება გაიდა 115 უმრავლესობით წინაალმდეგ 22-სა.

შემდეგ ამ მართლაც-და-საჭიროებაზე სჯისა და საქები ცვლილების შემოღების გარდაწყვეტისა შეუდგნენ თხოვნას რამდენიმე კაცების დაბრუნებისას, რომელთაც სასამართლოსაგან ანდერძი აქვთ აგებული, და ერთი ვიღაც აზნაურობის მეძიებელ კაცისათვის პირად აზნაურობის უფლების მინიჭებისას... Iთხოვეს სამი კაცის დაბრუნება და აზნაურობის მეძიებელს პირადი აზნაურობა გამოუთხოვეს...

მოგეხსენებათ „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. ეს დამტკიცდა ამ კრებაშიაც. რამდენიმე საზოგადო საჭიროებაზე განაჩენს ადგენენ, რომ მმართებლობას დამაკმაყოფილებელი წამალი მოსთხოვონ და ამ დროსვე ევედრებიან ეს-და-ეს სასამ. დაკარგული კაცი დაგვიბრუნეო. ჩვენ არ ვდაობთ, შეიძლება ესენი, რომელთ დაბრუნება წრეულს ითხოვეს მართლაც უკანონოთ იყვნენ დასჯილნი, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ არც ერთის მათი დაბრუნება „საზოგადო საჭიროებას“ არ შეადგენს, და მაშასადამე უკანონოა თვით ამ გვარი თხოვნის დადგენა ზოგადის კრებისაგან...

(გაგრძელება)

**დღიური**

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოყვანილი, რომ, ხელმწიფე Iმპერატორის ნება-რთვით, მთელს რუსეთში გაიმართა ხელის-მოწერა არითმეტიკისა და სამღვთო წერილის ქართულ სახელმძღვანელოების შესაძენად და საქართველოის ღარიბ სკოლებში დასარიგებლად. მაშინვე გამოვაცხადეთ ჩვენ, რომ ეს ხელის-მოწერა ალბათ ბ. გ. დიდებულიძისაგან ნათარგმნ სახელმძღვანელოებისა სასარგებლოდ უნდა იყოს-მეთქი. მართლაც ესე გამოდგა: ამ დღეებში გამოცემულს კავკასიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველის (პოპეჩიტლის) ცირკულიარში დაბეჭდილია, რომ, შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგენით, ხელმწიფე Iმპერატორმა ნება-რთვა განაცხადაო, რომ ბ. დიდებულიძისაგან გამოცემულის ქართულ სახელ-მძღვანელოების გასავრცელებლად ხელის-მოწერა გაიმართოს და ფული სახალხო განათლების სამინისტროში მოგროვდესო.

* * *

ამავე ცირკულიარში დაბეჭდილია ბ. პოპეჩიტელს განკარგულება, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ზოგიერთს საშუალ სასწავლებლებში, როგორც შევიტყეო, შაგირდები ხელთ-ნაწერ ჟურნალებს სცემენო და ამ ჟურნალებში ხანდისხან ისეთს პირებს, და საგნებს ჰკიცხავენ, რომელნიც სრულებით არ არიან გაკიცხვის ღირსნიო. რადგან ამ გვარი მიმართულება შაგირდებისა სანატრელი არ არისო, ამის გამო შემდეგში ხელთ-ნაწერ ჟურნალების გამოცემის უფლება შაგირდებმა პედაგოგიურ რჩევას უნდა სთხოვონო და რჩევა ჟურნალის ცენზორად გამოცდილ პირს დანიშნავს თავის შორისო.

**წერილი რედაქტორთან.**

ბ. რედაქტორო! გუშინდელს „დროებაში“ დაბეჭდილია „შენიშვნა“ ბ. ჯაჯანაშვილისა შესახებ ჩემის სტატიისა მე-115 №, რომელთაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩემი აზრი—საამხანაგო სკოლის გამგე კომიტეტისა და მასწავლებელთა შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა მეთქი—შეცდომაა.

მე კი მგონია, რო ამ „შენიშვნით“ ხსენებულმა ავტორმა მხოლოდ კვერი დამიკრა. ბ. ჯაჯანაშვილი ბრძანებს, რომ, თუმცა მასწავლებლებს ეგზამენების დანიშვნა არ უნდოდათო, მაგრამ კომიტეტმა მოინდომა და ისინიც დაეთანხმნენო. აქ რომ ერთი სიტყვაც დაემატებინა შენიშვნის დამწერს, ურიგო არ იქმნებოდა: ძალაუნებურად დაეთანხმნენო. მეც ვფიქრობ, რომ ეს სიტყვა უალაგო არ უნდა იყოს, თუ არა და რა გონიერი საბუთი ექმნებოდა მასწავლებლების გადაწყვეტას—ეგზამენები საჭირო არ არისო. აი ამ ძალაუნებურ დათანხმებას, რასაკვირველია, უკმაყოფილებაც მოედინებოდა.

მეც დარწმუნებული ვარ, რომ ამ გრძნობამ „საქმის საერთო მსვლელობაზედ არ იქონია არავითარი მავნებელი გავლენა.“ მაგრამ მე იმაში ვარ დარწმუნებული, რომ, თუ ამ გვარი ძალა-უნებლივი დათანხმება ხშირათ მოხდა მომავალში, მაშინ სკოლასაც ბევრი დააკლდება.

რაც შეეხება კერძო პირთ—იქნება მე თითონ არა ნაკლებ პატივსა ვცემდე იმათ სკოლისათვის ღირსეულ ღვაწლს და ზრუნვას, მაგრამ ამ აქტიოსანთა პირთა ცალკე დასახელება უადგილო იქმნებოდა, რადგანაც მე ვლაპარაკობდი კომიტეტის წევრთა უმრავლესობაზე და არა თვითეულებზე.

ნ. ხ.

---

— მე მყავს ერთი საყვარელი ქალი!

— კარგი, ეს კი იცოდე, რომ თუ საათმა მეოთხედ დაჰკრა და ეს ქალი იმ დროს არ იქნება თავმოკვეთილი, მაშინ შენ თითონ მოგკლავთ!

— კარგი, კარგი, მომკალით! შეჰყვირა პეტრემ.

პეტრე შეუპოვრად იდგა, სახეზედ ცვლილება არ აჩნდა, მაგრამ გრძნობდა, რომ გული უცემდა საშინლად და რაკარუკი გაჰქონდა, როგორც საათსა. ჩუმათ გულში ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს, რომ ეს განსაცდელი თავიდამ აეცილებინა; მაგრამ მოესმა ხმა, რომელიც ჩასძახოდა:

— Oრი წამილა დაგრჩენია.....

— მომკალით, მომკალით! შეჰკივლა ჯალათმა.

ამ დროს წამოუდგა თვალ-წინ და მოაგონდა საყვარელი თავისი ქალი, გადახედა იქ მდგომ საცოდავს ქალსა, რომელიც იდგა მშვიდობიანის სახით და უძრავათ...

Oავსმდომარის ბძანებით, კიდევ მოუტანეს პეტრეს მახვილი, კიდევ აუქნია ხელი და არ მიიღო.

მაშინ ადგა კაცი, რომელიც გამგებლობდა, მიიღო დამბაჩა, მივიდა პეტრესთან და უთხრა:

— მხლავ მოგკლავ.

— ღმერთო! ღმერთო ჩემო! ამასთანვე დაჰკრა საათმა. მე თანახმა ვარ..... გამოართვა მახვილი ჩვეულებისამებრ წაუსვა ხელი მახვილის პირს, რომ გაეგო როგორ იყო გალესილი და გადასდგა თუ არა ორი ნაბიჯი მსხვერპლისაკენ, ჰკითხ:

— მხლა საჭიროა მოძღვარი, სად არის მღვდელი?

— მაგისთვის ნუ სწუხხართ, გიბძანებთ აღასრულოთ ჩვენი ბძანება.

— არ შემიძლია მოვკვეთო თავი!.. ხელ-ფეხი უნდა ჰქონდეს შეკრული!...

— მე, მე ხელ-ფეხი უნდა შემკრან? შეჰკივლა ქალმა. ვის შეუძლია ჩემზედ იხმაროს ძალა და გაბედოს ხელი მახლოს!

საცოდავი დიდს უარზედ იყო ხელ-ფეხის შეკვრაზედ, მაგრამ ორმა კაცმა საჩქაროდ შეუკრეს და იქვე მოიტანეს თავის მოსაკვეთი ფიცარი. ჟალმა ახლად მიიღო შეუპოვარი სახე, მოიღერა თავი, ახადეს პირ-ბადე, რომელიც მის კისერსა და დასდვა თავი იმ საზარელს ფიცარზედ.

პეტრე კიდევ შეკრთა და შესდგა.

— მოჰკვეთე, მოჰკვეთე, თორემ შენ თითონ მოგკლამთ, უთხრა თავსმჯდომარემ და ამასთანვე მიაბჯინა პეტრეს გულში დამბაჩა.

პეტრემ უცებ დაჰკრა ქალს მახვილი... ეს კაცი, რომელიც ოცის წლის განმავლობაში აღსრულებდა ამისთანა სასჯელს დიეცა გულ-შემოყრილი საცოდავ ქალის გვერდზედვე. როდესაც მოვიდა გონზედ, ნახა, რომ იგი მიჰყავდათ იმავე კარეტით, რომლითაც მოიყვანეს უცნობ ალაგსა, მასთან იყვნენ იგინივე-და იმავე სიფთხილით ექცეოდნენ მას.

შესაძლებელია, რომ ყოველი ესე იყო სიზმრათ მოჩვენება, მაგრამ ნამდვილობა ამ საქმისა ცხადათ მტკიცდებოდა, რადგანაც პეტრეს ტანისამოსი იყო სისხლით მოსვრილი.

ბოლოს დააყენეს კარეტა პეტრეს სახლის ახლო., გამოიყვანეს და ერთმა მათგანმა მისცა ხელში ქისა და უთხრა:

— აი შენი ჯილდო. ნაცვლად ორასის თუმნისა, გაძლევთ სამასს თუმანსა, რადგანაც პატიოსანი კაცი ხარ.

კარეტა საჩქაროთ გაფრინდა უკან.

პეტრე მეორეს დღეს დილით მივიდა მსაჯულებთან და დაწვრილებით უამბო ეს საქმე. ბევრი ეძებს ის ალაგი, ის სახლები, ის მკვლელები და ის მოკლული, მაგრამ ვერა გაიგეს-რა, ამოდ დაჰკარგეს დრო და ფულები.

ამისთანა საზარელის და საკვირველის შემთხვევით პეტრე შაიქმნა მდიდარი ასე, რომ მარიამმა შეირთო მანსი და დასახლდნენ ქ. ნანსში რამდენიმე წლის შემდეგ პეტრეც განთავისუფლდა თავის საზარელ სამსახურიდამ და ესეც წავიდა საცხოვრებლად თავის ბედნიერ შვილებთან. მაგრამ ვინ იყო ის ქალი და ან რისათვის მიიღო ამისთანა სიკვდილი— დარჩა საიდუმლოთ.

ა. სავანელი.

## ...რა-კითხვის გამავრცელებელი ...საზოგადოების წლიური კრება*)

6 ივნისს 1882 წელს

ბ) ტფილისის სკოლა.

...რსულს წელს მმართველობა იძულებული იყო დაეკეტნა ტფილისის სკოლა.

...ტფილისის სკოლის გაუქმება გა...წყდა შემდეგის მოსაზრების ძა...

1) ტფილისის სკოლის მდგომარეობა ...მოხსენებიდამ აღმოჩნდა, რომ ...შარშანწინდელ 1880-1881 წლის ...ეგანთაგან 20 ენკენისთვეს გამოცდა სწავლის გასაგრძელებლად მხოლოდ თექვსმეტი და ამათაც გამოეცხადნენ სურვილი სკოლაში დარჩენისა მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ ...საზოგადოება სრულიად განთავისუფლებდა მათ სწავლისათვის გადასახადისაგან. დანარჩენნი შესულან ორს ...ქართულს სკოლაში, რომელიც სეკტემბერშივე გაიხსნა ქალაქის მმართველობისაგან. ახალი თხოვნა ...მეგობრის მიღებაზედ საზოგადოების სკოლაში შემოსულიყო მხოლოდ ...ოთხი. ასე რომ დამდეგს წელიწადს 60 მოწაფის (გამგეობისაგან დაწესებული რიცხვია) მაგიერად შესდგებოდა მხოლოდ ოცი.

2) შარშანწინ მმართველობამ დაა...რა ტფილისში სკოლა, იმიტომ რომ ქალაქში არ იყო არც ერთი ქართული, პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, რომელსაც ცოტაც არის მაინც დაეკმაყოფილებინა ხალხის სურვილი სწავლისა. წრეულს კი ქალაქის მმართველობამ გახსნა ორი უფასო სახალხო სკოლა საკუთრად ქართველთათვის და შემოიღო ამ სკოლებში ...გვარივე პროგრამმა, რა გვარიც საზოგადოების სკოლაში იყო მიღებული და იგივე მნიშვნელობა მისცა ...დიპლომს, რა მნიშვნელობაც აქვს მიცემული საზოგადოების წესდებულების მესამე მუხლის ძალით. წარსულის წლის გამოცდილებამ აღმოაჩინა, რომ ტფილისის სკოლის ...შესანახავად საზოგადოებას დაეხარჯებოდა ყოველ წლივ არა ნაკლებ ას ...ცი თუმნისა და ეს ფულიც არ იკმარებოდა, თუ მმართველობა, თანხმად ...თავის პირველ განზრახულებისა, მოისურვებდა სამაგალითო სკოლად გარდაექცია იგი. მმართველობას იმედი ...ქონდა, რომ მოწაფეთაგან სწავლის ...ფასი წელიწადში არა ნაკლებ ორმოცი თუმნის, შემოვიდოდა და ამით ...ს შეუმსუბუქდებოდა ხარჯი. წარსულს წლის განმავლობაში მმართველობას შემოუვიდა მხოლოდ ას ცხრამეტი მანათი (119 მ.) საზოგადოების ...საერთო ფულის შემოსავალ-გასავლიდამ სჩანდა, რომ წარსულს 1880 წელს შემოვიდა 2548 მან. 75 კაპ., ...გაიხარჯა კი 4331 მან. 14 კაპ. და...ნახარჯი გადაამეტებს შემოსავალს 1782 მ. 39 კ. მთავრობამ დაუმტკიცა ამ ზაფხულს საზოგადოების მმართველობის გარდაწყვეტილება სკოლა...

და თონეთის გარდაწყვეტილება სკოთველობას ორი სოფლის, წინარეხის ...ლის დაარსებაზედ, რომელნიც ამ ორის წლის წინად იყო წარდგენილი და ამით ხელი გაუხსნა მმართველობას სასოფლო სკოლების დაარსებისათვის და ეს საქმე მოითხოვს დიდს ხარჯს ყოველს წელს საზოგადოებისაგან, რადგანაც ყოველს სოფელს მაინცა და მაინც სჭირდება შემწეობა საზოგადოებისაგან ყოველ წლივ და მეტადრე უფრო სკოლის გახსნის პირველს დროს.

უეჭველია ამ მოსაზრების ძალით გარდასწყდა: რადგანაც ტფილისის ქართველობის სწავლის მოთხოვნილებას ქალაქის გამგეობა ახლად-დაარსებული უფასო სკოლების შემწეობით ცოტად თუ ბევრად აკმაყოფილებს, რადგანაც სოფლებს ძალიან უჭირთ საზოგადოების დახმარება რიგიანი სკოლების დამართვით და რადგანაც საზოგადოებას შემოსავლის სიმცირე ნებას არ აძლევს თავისი ხარჯით ქალაქში იქონიოს სკოლა, ამიტომ მმართველობამ საჭიროდ დაინახა გაეუქმებინა ტფილისის სკოლა და მისი ხარჯი მოეხმარებია სასოფლო სკოლებს.

გ) ბათომის სკოლა.

ბათომის სკოლა, როგორც საზოგადოებას უკვე მოხსენდა შარშანდელის ანგარიშით კრებაზე, გაიმართა 23 მარტს 1881 წელსა და პირველს ხანს, ე. ი. ზაფხულამდე კარგად სწარმოებდა. მასწავლებლად იგივე ნანეიშვილი იყო. შეგირდების რიცხვი 28-მდე ადიოდა პირველ-ხანშივე. ამ საანგარიშო წელს, თუმცა მთავრობის სკოლა გაიხსნა და მმართველობამ ფართო სახლი ვერ იშოვა, მაინც შეგირდების რიცხვმა იმატა და ეხლა მათი რიცხვი 32-მდეა.

სახალხო სკოლების დახმარება.

წრევანდელი დახმარება დაარსებულის საერთო სკოლებისა ისე ვრცელი და სრული ვერ იყო, როგორც შარშან, როდესაც შემწეობა წიგნებით და სასწავლო ნივთებით ორმოცდა-თექვსმეტს (56) სხვა-და-სხვა სოფლის სკოლას აღმოუჩინა მმართველობამ. ამის მიზეზი იყო ერთის მხრით ის გარემოება, რომ სკოლების მდგომარეობაზე ცნობების შეკრება დაგვიანდა, მეორეს მხრით მიზეზი იყო ამ საქმისათვის ვადადებული ფულის სიმცირე შარშანდელის ხარჯთ-აღრიცხვის სიით.

მაგიერად მმართველობას სურს ის თითქმის ხელ-უხლებელი ფული, რომელიც ამ საგნისათვის იყო გადადებული, შეუერთოს მას, რასაც ეხლა კრება გადასდებს და ამ სახით ყოველს გაჭირებულს სკოლას აღმოუჩინოს სრული შემწეობა. ისე რომ ეს შემწეობა ყოველს გაჭირებულს სკოლას შეხვდეს, მის განაწილება მეტის სისწორით და სამართლიანობით მოხდეს.

ეხლა მომავალის მმართველობისათვის ცნობანი უკვე შეკრებილია სკოლების მდგომარეობაზედ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიაში. ცნობანი მიღებულია ქუთაისის და ტფილისის სახალხო სკოლების დირექციებიდამ და თითქმის ორმოცი სოფლის სკოლის მასწავლებლებისაგან. ე ოთხმოცი სკოლა დაახლოებით ითხოვს 1,500 მან. შესაწევარს. საკლავადაც მმართველობამ სთხოვა მასწავლებლებს, რომ ცნობანი სკოლების მდგომარეობაზე აგზავნონ ყოველ წლივ სწავლების წლის დამლევ.

მაინცა-და-მაინც მმართველობამ შეძლებისამებრ აღმოუჩინა შემწეობა ზოგიერთა სკოლებს, როგორც მაგალითებრ: ახალციხის მაზრის სკოლებს, საცა, როგორც აღმოჩნდა, იქაური მასწავლებლების წერილებიდამ, თითქმის ერთი ქართული წიგნი არ მოიპოვებოდა და ქართველ ბავშვებისთვის იძულებულნი იყვნენ ხელ-ნაწერი ანბანით ესწავლებინათ ქართული წერა-კითხვა, გაეგზავნა საზოგადოებისაგან სასწავლო და საკითხავი წიგნები, რიცხვით 330 ეგზ-მდე. აღმოჩენილ ექმნა შემწეობა აგრეთვე სოფ. ვეჯინის და სოფ. ქაკაბეთის სკოლას გარე კახეთში, კერძო საქალებო სკოლას რუისში (ქართლშია) ბ. ღუდუშაურისაგან გახსნილს კერძო სკოლას ს. სტეფან-წმინდაში. (თერგის ხეობაშია).

ამ საგანთანვეა შეკავშირებულია განზრახვა მმართველობისა ბიბლიოთეკების დაარსებაზე ყოველს სოფლის სკოლისათვის. ბიბლიოთეკები უნდა შესდგებოდეს ყოველი რიგიანი ქართული წიგნებისაგან, რომელიც ხალხისთვის საკითხავია და გამოდგება და მასწავლებლისთვის სახმარად საჭიროა. უკეთუ ღონის-ძიება ნებას მისცემს საზოგადოებას, შემდეგისთვის მმართველობის განზრახვაა უფრო მდიდარი ბიბლიოთეკები დააარსოს, მაგრამ ყოველს სოფელში კი აღარა, თითო მაზრასა და თემზე თითო, ან ორ-ორი.

ამ ხანობით უკვე შემუშავებულია წესი სახალხო ქართული ბიბლიოთეკებისა მმართველობისაგან და კრებას მხსენდება ამ ანგარიშის ბოლოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ მმართველობამ გარდასწყვიტა სკოლებში შემწეობის გაგზავნისათანავე მიჰმართოს მან ყოველს სოფლის მასწავლებელს და სთხოვოს მათ შეაგროვონ ხალხის გონების ყოველივე ნაწარმოები, რომელსაც მმართველობა განიხილავს და გამოსცემს ცალკე წიგნად. ამ საგნისათვის შედგენილი ინსტრუქცია და დარიგება, აგრეთვე თვით წესი ანუ პროგრამმა შეკრებისა, როგორც მასწავლებელთათვის, ისე ყოველ კერძო პირისათვის, რომელიც ამ საქმეში მოისურვებს დაეხმროს საზოგადოებას, მმართველობამ უკვე შეიმუშავა დაამტკიცა და საზოგადო კრების წინაშე არდგენს განსახილველად და დასამტკიცებლად.

სტიპენდიატები.

საზოგადოებას 1881 წლის განმავლობაში ჰყავდა სულ ექვსი სტიპენდიატი გორის სამოსწავლებლო სემინარიაში, მაგრამ ერთს მათგანს, სუსტი სწავლისათვის მმართველობამ სტიპენდია მოუსპო. ამ საანგარიშო წლ. განმავლობაში, მაშასადამე, საზოგადოებას ჰყავდა სულ ხუთი სტიპენდიატი. თითოეულზე უწინდებულს ფულს ხარჯავდა, ე. ი. 130 მანეთს წელიწადში, ამ გვარ ხარჯის გარდა ერთხანად გაუგზავნა მმართველობამ სტიპენდიატებს 40 მანეთი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების სასყიდლად. გაეგზავნათ აგრეთვე თითო ეგზემპლიარი ქართული წიგნებისა ბიბლიოთეკის შესადგენად და შეგირდების საკითხავად.

სტიპენდიატებს შორის სამი მეორე კლასში სწავლობდა ამ წლის დანმამავლობაში და ორი-პირველში.

პრემია.

როგორც სჩანს წარსულის წლის ანგარიშიდამაც, საპრემიოდ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ხუთი ხელ-ნაწერი სახელმძღვანელო: ერთი არითმეტიკა, ორი გეოგრაფია, ერთი საქართველოს ისტორია და ერთიც მოთხრობანი ბუნების მეტყველებიდამ.

ეს უკანასკნელი, შარშანვე განხილული, ვერ იცნო მმართველობამ პრემიის ღირსად. ორი გეოგრაფიის ხელ-ნაწერი იყო განხილული ამ საანგარიშო წელს და არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა ღირსი ჯილდოსი, მხოლოდ ერთს მათგანზე დაიდო გარდაწყვეტილება, რომ უკეთუ მას შეასწორებს ავტორი, შენიშნვებისათანხმად საზოგადოების მმართველობა იკისრებს მის გამოცემასაო, მაგრამ ჯილდოს ღირსად კი მაინც ვერ იცნობსო.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიას და არითმეტიკის სახელ-მძღვანელოს იგინი იქნენ განხილული გარეთვე ამ წელს და ვერც ეს ორი ხელ-ნაწერი იცნო მმართველობამ პრემიის ღირსად.

---

## ტფილისის სამკურნალო.

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარაღლევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

*) „დროება", № 119.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—მარდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—მარდვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—მარდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—მარდ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაპიროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—87)

## ვეძებთ.

უმორჩილესად ვსთხოვთ პოლიციასაც და კერძო პირებსაც ვისაც კი უნახავთ ალექსი იგივე ალექსანდრე პავლეს-ძე იმერლიშვილი, რომელსაც ერთის წლით ჰქონდა პაპორტი და რომელიც ეს ოთხი წელიწადია არა ვიცით რა...

ამისი ნიშნები: ოცდა რვა წლისა, მოგრძო პირის სახისა, ქერა წვერ ულვაში და ხუჭუჭ თმიანი, მარცხენა თვალში ცოტათი ეტყობა დიბრი, ზომიერი ტანისა, შუა-ტანისა. ყმაწვილი ცოლ-შვილიანი. სიმამრის ძმა გარდაცვალა და მას უანდერძა ასი თუმანი ფული.

თუ ცოცხალი უნახავს ვისმეს ან თუ ვინმემ იცის პოლიციამ ან კერძო პირმა ამ კაცის სიკვდილი უმორჩილესად სთხოვთ ცოლ-შვილი და დედმამა ამ ყმაწვილისას აცნობონ შემდეგის ადრესით. ქ თელავში ს. ყვარელში მდვდლის სოლომონ იმერლიშვილის გარდასაცემად. (4—1)

ქართველი **სტუდენტი** ეძებს გაკვეთილებს.

ადრესი — შავერდოვის აგენტურაში (4—1)

კომისიონერის კონტორა გ. ორბელოვისა პარიჟში

რეა წელიწადია, რაც არსებობს. ყოველ ნაირ დაბარებას მიიღებს. წიგნის მიწერა შეიძლება ქართულად, რუსულად და სომხურად.

ადრესი *Paris rue Bergére, 9.* (2—1)

ვაძლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

## „ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ. (20—7)

## ღვინო!!!!!

ხამდვილი კახური ახალად მივიღე პარტია ყველა სორტისა, ვედრა 2 მანეთ და 40 კაპ.—12 მანეთამდინ, ბოთლი 20 კაპ.—1 მანეთამდინ.

იყიდება პაყარნი კამანდის პირ-და-პირ წინამძღვაროვის სარდაფში.

კახელი ს. ი კურდღელოვი. (3—3)

მერვე კლასსის გიმნაზიელი აძლევს გაკვეთილებს

ადრესი „დროების“ რედაქციაში. (6—3)

### იყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში იყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

ნაფიცი ვექილი ალექსანდრე მირიანის-ძე

## ჭყონია

მიიღებს ყველა სასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამიჯნაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ქუთაისში, სილაზე, მ. ჭყონიას სახლში. (5—5)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და იყიდება ბ-ნ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

## „ВОСТОЧНОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Еженедѣльная газета безъ предварительной ценз. под ред. Н. М. Ядринцева.

Изданіе посвященное жизни провинціи окраинамъ.

Выходитъ съ 1-го апрѣля, цѣна 8 р.

Содержаніе №№ 1, 2, и 3: Востокъ и Западъ В. П. Васильева.—Колонизаціонный вопросъ на окраинахъ.—Что такое Поземельная Община С. Я. Капустина.—По поводу 300-лѣтія Сибири Е. В. Максимова.—Центръ и окраины С.—Русскій Востокъ и его будущность.—Провинціальный вопросъ и переселенія.—Жолтый вопросъ въ Америкѣ и въ Сибири.—Значеніе области въ русской жизни.—Беллетристика: Странникъ на золотомъ озерѣ Ядринцева.—Гонимые (изъ сибирскихъ нравов) Н. И. Наимова.—Воспоминованія и грезы восточнаго фельетониста.—Послѣднія новости по переселенческому вопросу.—Сибирскіе вопросы и реформы.—Хроника.—Политическіе обзоры и вѣсти съ востока.—Обзоръ общественной и провинціальной жизни.—Корреспонденціи изъ Тобольска, Томска, изъ Барнаула, съ Алтая и т. д.—Хроника жизни за недѣлю.—Критика и библіографія.—Биржевыя извѣстія.—Объявленія.

Подписка въ конторѣ редакціи, Ивановская, д. 13, кв. 18.

Въ Тифлисѣ подписка принимается въ газетномъ агентствѣ В. ШАВЕРДОВА. (5—4)

კერძო სასწავლებელი კლიუჩარევისა და ზაგუმენნოსი (ადრინდელი ტერ-აკოფოვისა) ამ თავითვე იღებს ყმაწვილებს, რომელთაც არ იცი ნ ან თუ იციან ცოტათ რუსული ენა, ამ ენაზედ ვარჯიშობისათვის და პირველ დაწყებათი სწავლისათვისაც.

ადრესი სასწავლებლისა: სოლოლაკი, ბაღის ქუჩა № 38 (6—6)

დაიბეჭდა და იყიდება ბრ. ჩარ... ვიანის ქართული წიგნის მაღაზ...

თამარ დედოფალი

შედგენილი ქ. ბ—შვილისაგან

გამოცემა ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდებ... თფილისის წიგნის მაღაზიებში

### იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუ... გან გადმოღებული თ. რ. ერისთვის...

დაიბეჭდა და იყიდებ,

## ქუჩუჩ ყარამნისშვილი

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოით... ვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე ... ნაკვნელ ნაწილამდინ მელიქიშვი... სტამბაში, ბატონ ნიკო კობალი... თან.


### ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომე... იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 1 ივნისი... 15 ივნისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვი...

| | |
|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. |
| მეორის „ | —1 გირ. |
| მესამის „ | —1 გირ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხ... | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. |
| მეორის „ | —1 გირ. |
| ჯვარის-მამის პური: | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. |
| ძროხის ხორცი: | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. |
| მეორის „ | —1 გირ. |
| სუკი — — | —1 გირ. |
| ცხვრის ხორცი | — 1 გირ. |
| ღორის ხორცი: | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. |
| მეორის „ | —1 გირ. |


## კოლხიდა

ამა 1882 წლის 1 ივნისიდამ

ქ. ფოთში

მიხაილოვის ქუჩაზე, ბულვარის პირ-და-პირ, ხუმარაძის სახლის ზემო ეტ... ადრინდელი პატრონი ალფონ ჟაკოს სასტუმროისა

ახობამე ჭმართავს სასტუმროს

სასტუმრო ყველაფრით შემკობილი და მოწყობილი იქნება როგო... დიდ-კაცებისათვის, აგრეთვე საშუალ წოდების მოგზაურთათვის. ყოვე... ლონის-ძიება იქნება მიღებული სასტუმროის სისუფთავისა და სიფაქ... თვის.

იმედი მაქვს, როგორც ადრე, პატივცემული საზოგადოება ახლა... დაიგდებს უყურადღებოდ ჩემს სასტუმროს.

(6—6) სასტუმროს პატრონი ანტონ ახობაძე.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Іюня 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხ...